PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

**საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვებტექნოლოგიები“**

**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის**

**დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნანა შარაბიძე

**წევრი:**

ალექსანდრე კეკენაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის N458051 (MES 4 20 00458051) ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ალექსანდრე კეკენაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების და საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა 2020 წლის 19 ივნისს, სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“, ქ. თბილისში, წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და მოახდინა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების სატელეფონო ინტერვიურება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები, გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მარეგულირებელ დოკუმენტებს და გადაამოწმა მათი გამოყენების პირობები. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის წევრებმა ძირითადი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

*ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ დასამატებლად დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 15 და 16 აგვისტოს. ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის ავტორიზაციის გზით დამატების პროცესში ხარვეზი არ დაუფიქსირებია და რეკომენდაციები არ გაუცია.*

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა) არ გამოვლენილა*

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

### შესაბამისობის რეკომენდაცია

**რეკომენდაცია მიეცათ, ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის შეძენა დაასრულონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის სექტემბრის ბოლომდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვებტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | 2020 წლის 25 მაისის N115 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, ფანჯიკიძის N3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 224 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 28 პროფესიული სტუდენტი (224 ფარგლებში) |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 114 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 63 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 144 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 93 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ვებტექნოლოგიები" შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 06114-პ) ვებტექნოლოგიები/Web Technology საფუძველზე. ხოლო, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტს და ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას - ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში კადრების მომზადების შესახებ და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან - მიზანი N1 პროგრამების შემუშავება და განვითარება.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/Secondary Vocational Qualification in Web Technology

**კვალიფიკაციის კოდი**-0612.

**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა**:
- სრული ზოგადი განათლება - იმ სასწავლო გეგმით, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ სასწავლო გეგმით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**მისი მოცულობა კრედიტებში**:
საგანმანათლებლო პროგრამა, დაშვების წინაპირობით - სრული ზოგადი განათლება, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ჯამურად 63 კრედიტი. სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 სასწავლო თვე, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა - 93 კრედიტი, სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 16 სასწავლო თვე.

პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ითვალისწინებს 2 ზოგად მოდულს - ჯამური 8 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით და 5 ინტეგრირებულ მოდულს – ჯამური 60 კრედიტის მოცულობით. აღნიშნულ შემთხვევაში, ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 114 კრედიტი. სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25 სასწავლო თვე. იგივე პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს 144 კრედიტს, ხოლო სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 29 თვე

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია**: ვებტექნოლოგიების სფეროსთვის ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე განახორციელონ დეველოპინგი (front_ის მხარე).

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** „ვებტექნოლოგიები“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი **არჩევითი მოდულები**.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შეჯერებით, გამოანგარიშებულია „ვებტექნოლოგიების“ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, **პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**, რაც პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან ერთად ასახულია პროგრამის დამტკიცების საფუძველში (პროგრამის დამტკიცების მიზნით დირექტორისადმი მიმართვის დოკუმენტი). საგანმანათლებლო პროგრამის დანართით **გათვალისწინებული რესურსები** უზრუნველყოფს პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ შემადგენელი მოდულების **სწავლის შედეგების მიღწევას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

PDF Eraser Free

სასწავლო რესურსი გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მეთოდოლოგიით და გზამკვლევებით.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების **უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს დირექტორს**, საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N57 ბრძანებით. ამავე დროს, მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ასევე ფორმდება დირექტორის ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამაში „ვებტექნოლოგიები“ ბოლო ცვლილება, რომელიც მასში საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას ითვალისწინებს, განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N115 ბრძანებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N115 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N115 ბრძანება;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 224 პროფესიული სტუდენტის ადგილი, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი სრულადაა განთავსებული სასწავლო აუდიტორიებში, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით სასწავლო პროცესის წარმართვისთვის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 28 ადგილი (14-14 პროფესიული სტუდენტი თითოეულ ჯგუფში) იგივე ადგილების (224 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებშია. <u>ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის რეკომენდებული აღჭურვილობისთვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N118 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებული იყო, რომ აღჭურვილობის შესაძენად დაწესებულებას კომუნიკაცია ჰქონდა</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, კერძოდ, საქართველოს მთავრობასთან წინასწარი თანხმობის მოპოვებასთან დაკავშირებით დაწესებულებას გაგზავნილი ჰქონდა შესაბამისი წერილი. ვიზიტის დროს კოლეჯის დირექტორმა წარმოადგინა 2020 წლის 18 ივნისს გამოცემული საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას უფლება ეძლევა აღჭურვილობის შესაძენად გამოაცხადოს ტენდერი და დაიწყოს შესყიდვის პროცესი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესყიდვის პროცესი უნდა დასრულდეს სექტემბრის ბოლომდე.

ვებტექნოლოგიების“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების ჯამური რაოდენობა შეადგენს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელს. „ვებტექნოლოგიების“ პროგრამისთვის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს გააჩნიათ სწავლებისა და შეფასების უნარები და გამოცდილება. მათი პირადი საქმე ადასტურებს მათ კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. „ვებტექნოლოგიების“ პროგრამას ჰყავს სფეროში გამოცდილი, კვალიფიცირებული ხელმძღვანელი, რომელიც ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.

„ვებტექნოლოგიების“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის რეკომენდებული საგანმანათლებლო რესურსები, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სხვა მოდულებისთვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რსურსები, ხელმისაწვდომია ნებისმიერი აუდიტორიის ნებისმიერი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, რომელთა მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. იმავე დოკუმენტით „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების მიერ დამატებითი დახმარების გაწევა საბიბლიოთეკო მასალებით სარგებლობასთნ დაკავშირებით, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელს განსაზღვრული აქვს საჭიროების შეთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქცია. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები, მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის გადამოწმება, საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. ვიზიტის დროს ასევე მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან გასაუბრება და სატელეფონო ინტერვიუ განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათი მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელების პროცესში, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მისაწევად.

**რეკომენდაცია მიეცათ, ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის შეძენა დაასრულონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის სექტემბრის ბოლომდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცეების მოწყობა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N96 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N118 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა;
- დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეების ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან;
- სატელეფონო ინტერვიუ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან;
- საქართველოს მთავრობის განკარგულება№1022, 18.06.2020წ.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ მოიაზრებს პროგრამის შეფასებას დაინტერესებული პირების გამოკითხვის/ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მოპოვების მიზნით კითხვარების შემუშავებას/განახლებას და დამტკიცებას, გამოკითხვების ორგანიზებას, შედეგების დამუშავებას, მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და რეკომენდაციების გაცემას. ასევე ჯგუფის პრეროგატივაა შეიმუშავოს სალექციო და შეფასების პროცესზე დასწრების ფორმები. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლში გაწერილია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა. მუხლში განსაზღვრულია პროგრამის როგორც შემუშავებაზე, ასევე წარდგენასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირები.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აანალიზებენ რა პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს, პროგრამის შემუშავებაში ან/და განხორციელებაში ჩართულ პირებთან კომუნიკაციის შედეგად - ინფორმაციის გამოთხოვის გზით და შესაბამისი ინიცირების საფუძველზე, პროგრამის განვითარების/წარმატებით განხორციელების მიზნით, ცვლილებები შევიდა „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის შემადგენელი მოდულების დამხმარე ჩანაწერებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N114 ბრძანება;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N115 ბრძანება „ვებტექნოლოგიების“ პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 მაისის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;
- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 28 ივლისის N 26 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ (ბოლო ცვლილება შემადგენლობაში ბრძანება N106- 19.05.2020);
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ 2020 წლის 25 მაისის დისტანციური შეხვედრით - ოქმი N3 დამტკიცებული კითხვარები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ სასწავლო გეგმა აგებულია ინტეგრირებული მოდულების გათვალისწინებით, მოდულების წინაპირობების დაცვით და მოიცავს დამატებითი შეფასების პერიოდს. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს ხანგრძლივობის შესაბამისობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელება დაგეგმილია ორ ცვლაში სწავლების რეჟიმში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები ითვალისწინებს ცვლის არჩევის შესაძლებლობას. პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია გაცდენების თვითმონიტორინგის სისტემა - ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევები.

საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ ინტეგრირებულად განხორციელების ფარგლებში, ინტეგრირებული მოდულების განხორციელება და სწავლის შედეგების დადასტურება არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, ვინაიდან საშუალო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

PDF Eraser Free

განათლების სწავლის შედეგების მიღწევა კოლეჯის საგანმანათლებლო სივრცეებში იქნება უზრუნველყოფილი. პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას - შპს „coolgroup“ შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც შერჩეული პარტნიორი კომპანიის სპეციფიკის, გამოცდილებისა და მზაობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმი პრაქტიკული კომპონენტის პარტნიორების ბაზაზე განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა არსებით საკითხს - თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება ითვალისწინებს.
„უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ აღწერს კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო გარემოს და საფრთხის წარმოქმნის აღმოფხვრის მექანიზმებს. „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯისდირექტორის 2020წლის 25 მაისის N115ბრძანება„ვებტექნოლოგიების“პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 მაისის N101 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას - შპს „coolgroup“ შორის გაფორმებული მემორანდუმი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც არეგულირებს შეფასებისა და დამატებითი შეფასების საკითხებს, ხოლო მე-17 მუხლით განსაზღვრულია შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები. ამავე წესის მე-10 მუხლი აღწერს შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების შენახვა/წარმოების საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, შეფასების სისტემის საკვანძო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, მოიცავს შესაბამისი ინფორმაციის ასახვის ველებს.

დამატებითი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი უფლებამოსილია შეცვალოს ინსტრუმენტით გათვალისწინებული დავალება დავალების სირთულის, შინაარსისა და მიმართულების უცვლელად დატოვების ფარგლებში. რეგულაციის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, განმახორციელებლები პროგრამის ხელმძღვანელს ან/და იმავე მიმართულების სხვა მასწავლებელს უთანხმებენ შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. დამატებითი შეფასების შემთხვევაში „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხები, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებით სპეციალური ჩეკლისტების მეშვეობით შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის დადგენას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე- 10 მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესის თანმდევი დოკუმენტების წარმოება-შენახვის საკითხებს, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტებისა და სწავლის შედეგების შეფასების ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

PDF Eraser Free

მოპოვებული მტკიცებულებების შენახვის ვალდებულებას 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების - უვადოდ. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე- 17 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის მიერ სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობის ვალდებულებას, მათი კანონიერი უფლებების დაცვით, გაცნობის ფორმას მიუთითებს შეფასების ინსტრუმენტის შესაბამის ველში. ამავე წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 მაისის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“.
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N113ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 28 ივლისს N 26 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება
- შემადგენლობაში ბრძანება N106- 19.05.2020)
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ 2020 წლის 21 მაისის დისტანციური შეხვედრით -ოქმი N2 დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ 2019 წლის 1 აპრილის შეხვედრის -ოქმი N2 დამატებითი შეფასების ინსტრუმენტისთვის დავალების შეცვლის პირობების შესახებ.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*

PDF Eraser Free

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | - |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. საქართველოს მთავრობის განკარგულება
(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

08.07.2020წ.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(ქალაქი, წელი)*